ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3236643

ნომერი: AR1499083

თარიღი : 27.04.2017

გაცემის თარიღი : 01.05.2017

გაცნობის თარიღი : 01.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01009009942
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 1 ბ. 36

ორგანიზაცია:

- შპს დომუს ვაკის პარკი კოდი: 405127937

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 აპრილის №AR1499083 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა ფალიაშვილი, #87, შპს დომუს-ვაკის პარკის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.11.022.004), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 28 მარტიდან 2019 წლის 28 ივლისის ჩათვლით. ამავე ბრძანების მე-5 პუნქტით დამკვეთს დაევალა, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის მე-5 პუნქტში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: სამსახურის 2017 წლის 28 აპრილის №AR1499083 ბრძანების მე-5 პუნქტი ,,დაევალოს დამკვეთს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად'' შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: დაევალოს დამკვეთს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად''.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებაში და ამავე ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,დაევალოს დამკვეთს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს საპროექტო მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების მიერ გაცემული თანხმობა, დამოწმებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად''.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 28 მარტის №3173884 ბრძანებასთან ერთად.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge